მაგრამ, საქართველოსთვის ესოდენ სასურველო გეოპოლიტიკური პროექტის განხორციელება მულაც არ ნიშნავს საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფას. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის შენებლობის მთავარი ინვესტორი “ბრიითიმ პეტროლიუმში” უძღლარებიან და სოლიდური, მაგრამ კერძო კომპანიაა. მას გრძელვადიანი, მაგრამ დროში განსაზღვრული ინტერესები აქვს. თუ ინვესტორი პრობლემებს ვერ ხედავს და არც აჩვენებს, მას არაფინ გამოიგონებს. მაგრამ, სრულფასოვანი და საიმედო თანამშრომლობა მაშინ შედგება, თუ მხარეები საკუთარ ინტერესებს კომპეტენტურად იცავენ.

რამდენიმე დღეში საქართველოს ხელისუფლება, მისთვის ურთულესი, რეგიონული პოლიტიკური ჭიდილისა და ზენოლის პერიოდში, “ბიპი“-სგან ელოდება იმ ერთადერთ დოკუმენტს, რომელზეც ერთადერთი სამთავრობო ნებართვა უნდა გასცეს და თანამემამულეთა რამდენიმე თაობის წინაშე პასუხისმგებლობაც იკისროს.

“24 საათის” რედაქციაში მილსადენების პერსპექტივასა და მნიშვნელობაზე საუბრობენ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გიორგი ჭანჭურია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე, “საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის” პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე და კავშირის - “საქართველოს რესურსები და მდგრადი განვითარება” - გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე თვალჭრელიძე.

**ნინო ჩხობაძე:** “ბიპისგან” გარე-

მოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში ოფიციალურად შემოვა 29 სექტემბერს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოდგენილ დოკუმენტს შეისწავლის და ნებართვას ში დღეში გასცემს. ჩვენ “ბიპი” გავაფრთხილეთ, რომ დოკუმენტი ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) უნდა იყოს, რათა მისი შესწავლა, უცხოელ ექსპერტებთან ერთად, სპეციალურად ამ მიზნისთვის დაქირავებულმა 60-მა ქართველმა ექსპერტმა შეძლოს.

**“24 საათი”:** რამდენადა ბოლომდე მოგვარებული ნავთობსადენის უსაფრთხოების საკითხი?

**გიორგი ჭანჭურია:** უსაფრთხოების საკითხი ყველაზე მეტად მოგვარებულია საქართველოში. ჩვენ გვაქვს ბაქო-სუფსის პროექტის გამოცდილება, რაც თურქეთის არ გააჩნია. როდესაც ნავთობსადენზე ვლაპარაკობ, უნდა ვიგულისხმოთ საკითხების მთელი კომპლექსი - ვერ განვიხილავთ მარტო გარემოს უსაფრთხოებას ან მარტო სოციალურ საკითხებს. ამიტომ ჰქვია ამ დოკუმენტს გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასება.

რეალურად ორი რამ არის საქართველოში, რაც არა აქვს არც თურქეთსა და არც აზერბაიჯანს. თუმცა, ამ უკანასკნელმა ბოლო დროს, ამ მხრივ, ნაბიჯი უკვე გადადგა. პირველ რიგში, საქართველოში არსებობს სტრუქტურა, რომელსაც უსაფრთხოების ორგანიზების გამოცდილება აქვს. ესაა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, რომელსაც გააჩნია ბაქო-სუფსის პროექტის დაცვის სამშლიანი გამოცდილება. ამ გამოცდილებაში ვგულისხმობ “ბიპის” ტრენინგს, ურთიერთობას უცხოელებთან, სხვა პარტნიორებთან, სხვადასხვა სპეცსახსურების წარმომადგენლებთან.

აზერბაიჯანი ამ გზით ახლახან წავიდა. აქამდე ამ ქვეყანაში ნავთობსადენის დაცვის პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა უშიშროების სამინისტროს. ზუსტად ერთი თვის წინათ, საქართველოს გამოცდილებითა და ამერიკელთა რჩევით, ბაქოში ნავთობსადენის დაცვის ქათული მოდელი აირჩია. ასე რომ, საქართველოში ეს გამოცდილება დაგროვდა.

**ნინო ჩხობაძე:** უშუალოდ ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე, ალბათ, უნდა ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ). ხელშეკრულების მიხედვით, დამატკიცებულია ის გზმ, რომელიც მუშაობს ევროგაერთიანების ქვეყნებში. თანაც, გარემოზე ზემოქმედების შეფასება მხოლოდ ეკოლოგიურ საკითხებს არ მოიცავს. მას უნდა გააჩნდეს სოციალური ნაწილიც.

**“24 საათი”:** აქ უკვე ითქვა, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა გასცეს ნებართვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნინო ჩხობაძემ თხოვნით მიმართა ნიდერლანდების გარემოს დაცვის მინისტრს, რათა დახმარებოდნენ “ბიპის” მიერ შედგენილი დოკუმენტის გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ადეკვატურობის დადგენაში. თავის მხრივ, ნიდერლანდების მთავრობამ ამ მიზნით დაიქირავა ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია. მათ ქართველ კოლეგებთან ერთად შეიმუშავეს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის. ერთ-ერთი ასეთი რეკომენდაციის მიხედვით, ნავთობსადენი კვეთს ძალზე მგრძნობიარე ზონებს ბორჯომის ხეობაში. კომისია საუბრობს ალტერნატიულ მარშრუტზე.

**ნინო ჩხობაძე:** დავაკონკრეტებდი, რომ ეს არის არა მოთხოვნა, არამედ მხოლოდ რეკომენდაცია. კომისია აბსლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურაა. იგი არ ემორჩილება არც ერთი ქვეყნის მთავრობას. არც ერთ კერძო კომპანიას და იმ



დისკუსია “24 საათის” რედაქციაში.

შემთხვევაში გამოდის მთავრობის სახელით, თუ მთავრობა მას თხოვნი მიმართავს. მოცემულ მომენტში, ჩვენ გვაქვს ის შემთხვევა, როდესაც ნიდერლანდების მთავრობამ ეს კომისია მოავლინა ჩვენთან საქართველოს მთავრობის დასახმარებლად.

**გიორგი ჭანჭურია:** მეშინია, ჩვენ ღია კარის მტრევა არ გამოვივდეს. “ბიპი” ამ საკითხებს ასახავს საბოლოო დოკუმენტში.

**ნინო ჩხობაძე:** ნიდერლანდების კომისიის ერთ-ერთი მოთხოვნა ის იყო, რომ წარმოედგინათ ალტერნატივები.

**გიორგი ჭანჭურია:** მე “ბიპის” ადეკვატად არ გამოვდგები, მაგრამ არ მინდა, დავარღვიოთ “ბიპის” მიმართ უდანაშაულობის პრეზუმიცია. წინასწარ დოკუმენტში არც უნდა ყოფილიყო ალტერნატივების დეტალური ანალიზი წარმოდგენილი. ეს იყო ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ წინასწარ უნდა შეგვეფასებინა და მიგვეცა “ბიპისთვის” რეკომენდაციები, თუ რა გვინდა საბოლოო დოკუმენტში აისახოს.

პროცესის დასაჩქარებლად შევთანხმდით პრინციპზე, რომ არ დავლოდებოდით საბოლოო დოკუმენტს და წინასწარი ვარიანტების მიმართ გამოგვეტევა შენიშვნები. შედეგად, “ბიპის” 1100-გვერდიანი კომენტარები გადავცა.

ცალკე ზორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამა. ყოველშედეგ გაანალიზდა ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მათგან გამოგვეცა. ამის შემდეგ “ბიპიმ” მოითხოვა ვადა, რათა ყველა შენიშვნა შეესწავლა. სამუშაო პროცესის წყვეტა რომ არ მომხდარიყო, ცალკე გამოიყო ბორჯომის საკითხი. არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა. ალექსანდრე თვალჭრელიძეს კარგი პროექტი აქვს დამუშავებული, რომლის მიხედვითაც ნავთობის დაღერა, პრაქტიკულად, ნულის ტოლია.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე:** ნიდერლანდების კომისიის დასკვნა, ჩემი აზრით, ერთობ ნაჩქარევია, რადგან ღრმად არ არის გაანალიზებული ცალკეული საკითხები. კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია ნალკის რაიონს ეხება. მიმაჩნია, რომ ნალკის შემთხვევაში რისკი გაზოვიდებულია. ნალკაში ნავთობი რომც დაიღვაროს, წყალსაკრებ აუზს საფრთხე არ ემუქრება.

რაც შეეხება ბორჯომს, იქ რისკი არსებობს. ბატონმა გაიმ სწორად აღნიშნა, რომ არ ღირს “ბიპის” მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ენახოთ, “ბიპი” როგო-

რი შინაარსის დოკუმენტს გადმოგვცემს. თუმცა, ბორჯომის ხეობის ისევე განხილვა როგორც დანარჩენი მონაკვეთებისა, არ შეიძლება. ბორჯომის ხეობა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა. მას გაფრთხილება სჭირდება და რისკი 100-პროცენტით უნდა გამოირიცხოს. პოლანდიური წირმპტივით დასაშვებია, რომ 2500 წელიწადში ერთი კატასტროფა მოხდეს, აქ გეოპოლიტიკური რისკებიდან გამომდინარე, იმის ალბათობა, რომ მოხდება დივერსია, უფრო მაღალია. ამიტომ, უნდა მოხდეს ბორჯომის წყალსაკრები აუზისა და კურორტ ბორჯომის სრული დაცვა, რათა ხალხი თავს დაცულად გრძნობდეს.

ისე, მართალი რომ ვთქვათ, ჩვენ ბოლომდე არ ვიცით, რას წარმოადგენს ბორჯომის წყალსაკრები აუზი. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე 37 სადოქტორო დისერტაციაა დაცული. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ერთიანია ეს აუზი, თუ - არა.

**“24 საათი”:** ამ კითხვით მამუკა ხაზარაძეს მინდა მივმართო. თქვენი კომპანიის კეთილდღეობა უშუალოდაა დაკავშირებული ამ საკითხთან. რას ფიქრობთ ნავთობსადენის ბორჯომის ხეობაზე გავლასთან დაკავშირებით?

**მამუკა ხაზარაძე:** თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ მოგვმართა თუ არა, პროცესში მამუხეჩ ჩავერთეთ. კორპორაციასანი ერთად მოეხწყეთ ადგილზე რამდენიმე გასვლა, დავათვალიერეთ ორივე ალტერნატიული მარშრუტი. თუმცა, ერთია, უშუალოდ ბორჯომში ორი ალტერნატიული გზა და მეორეა მარშრუტი, რომელიც ბორჯომის ხეობას გვერდს უვლის.

გარდა ამისა, ჩვენ დავეიქირავეთ საერთაშორისო ექსპერტები საფრანგეთიდან, რომლებიც ახლაც მუშაობენ ამ საკითხზე. ჩვენ გვეკონდა შეხვედრები “ბიპისთან”, მეცნიერებათა აკადემიაში და ყველა იმ ექსპერტთან, რომლებიც კორპორაციის მიერ ამ პროექტშია ჩართული. ჩვენი პოზიცია ასეთია: გამომდინარე რისკის იმ ერთი პროცენტადან, რომელიც შეიძლება მოყვეს გაუთვალისწინებელ შემთხვევას, ჩვენითვის იდეალური ვარიანტია, რომ ნავთობსადაღვაროს, წყალსაკრებ აუზს საფრთხე არ ემუქრება.

ბორჯომის ხეობა ყველაზე დიდი პარკია ევროპაში, მისი შეწარმუხებისთვის გერმანიის მთავრობამ მოხრდილ დაფინანსება გამოყო. ბორჯომის მინერალური წყალი კი სტრა-

ტეგიული რესურსია, კურორტ ბორჯომს აქვს დიდი ტურისტული პოტენციალიც. ამიტომ ვითხოვთ, რომ ნავთობსადენმა იქ არ გაიაროს, მაგრამ, თუ საქართველოს მთავრობა, “ბიპისთან” ერთად, ვერ პოულობს ალტერნატივას, მაშინ ჩვენ, პარტნიორებთან ერთად, გვინდა, ვაიძულოთ “ბიპი” ბორჯომის ზონა განსაკუთრებულ ზონად გამოცხადდეს. ეს ნიშნავს განსაკუთრებულ ინვესტირებას, უსაფრთხოების დაცვის განსხვავებული მეთოდების ამოქმედებას. სხვა შემთხვევაში, ჩვენი ბორჯომს დიდი საფრთხის წინაშე ვაყენებთ. ცნობისათვის, დღეს “ბორჯომი“-ს წყალი ქვეყნის ექსპორტის 10 პროცენტს შეადგენს.

**“24 საათი”:** ჩვენს დისკუსიაზე რამდენჯერმე ითქვა ალტერნატიული მარშრუტის შესახებ.

**გიორგი ჭანჭურია:** ამ პროექტში ბორჯომის საკითხი ყველაზე მგრძნობიარეა. ნუ იფიქრებთ, რომ “ბიპი”-ს არ ანუხებს ბორჯომის მთავრობა. საქართველოს პრეზდენტი ერთი მილიარდი ლარია, “ბიპის” სააქციო ღირებულება კი - 245 მილიარდი დოლარია. “ბიპი” არ არის ის კომპანია, რომელიც ამ პროცესს ხელაღებით მოუდგება. ერთი რამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბორჯომი ყველას ერთობლივი საქმეა.

ყველაფერი უკავშირდება რისკების შეფასებას. “ბიპიც” თავის რისკებს აფასებს. მისთვის ბორჯომი არ არის მთავარი რისკი, ანუ, ამ საკითხის არასწორად გადაჭრის შემთხვევაში, კომპანია წაადგება 10-15 მილიარდ დოლარს, რადგან მისი აქციის ფასი დაეცემა. ამ საკითხზე საუბარიც საერთაშორისო სტანდარტებით უნდა მიმდინარეობდეს.

პროცესი რომ არ შეჩერდეს, ჩვენი ბორჯომის თემა ცალკე იქნება განხილული და ბორჯომზე ცალკე პროგრამა დაინერება. საექსპერტო ფილტრი კი საკმაოდ დიდია. თუ იარსებებს რისკის 0,25 პროცენტი, მაშინ ეს მარშრუტი შეიცვლება.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე:** ამასწინათ ტელეკომპანია “მირთან” ტელეხიდი მქონდა, სადაც ვესაუბრე რუსეთის უძღლიერეს პოლიტოლოგებს. რუსეთი განიხილავს ამ პროექტს როგორც დანას ზურგში რუსეთის ეკონომიკისთვის. ეს მართლაც ასეა, რადგან რუსეთის ექსპორტის, სულ მცირე, 60 პროცენტი ენერგომატარებელია.

მე ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების მოსყიდვას,

რათა ეს პროექტი არ განხორციელდეს.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ ბორჯომის ძალიან რთული პრობლემის მოგვარება და, რაც აუცილებელია, ნავთობსადენთან დაკავშირებით ყველანი ერთ პოზიციაზე უნდა დავდგეთ.

**არჩილ გეგეშიძე:** დღეს ისეთი პროცესები წავიდა საქართველოში და ზოგადად, რეგიონში, რომ დღეს ტემპის დაკარგვა არ შეიძლება. საქართველო ძალინ საპასუხისმგებლო ეტაპს გადის, სადაც ენერგოდერეფანი თამაშობს გადამწყვეტ როლს. დღეს საუბარია დასავლურ ორიენტაციაზე და რუსეთის წინააღმდეგობაზე ამ ორიენტაციისადმი. საქართველოს დასავლური ორიენტაცია რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, იქნება ეს რუსეთის ბაზების გატანა საქართველოდან, კონფლიქტების მოგვარებაში დასავლური კომპონენტის გამოიერება, როგორც მუშაოდისა, თუ დასავლური ინვესტიციების მიმართ უფრო მეტად სიმპათიით განწყობა, ვიდრე რუსულია. მაგრამ აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტი გახლავთ აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი, ჩვენი სატრანზიტო ფუნქცია, რომელიც საქართველომ შეიძინა და რომელიც დღეს, ძირითადად, ენერგოდერეფნის ხარჯზე არსებობს. სამუხაროდ, ენერგოდერეფანია ამ სატრანზიტო ფუნქციის მდგრადობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი და არა ტრასეცა. ამდენად, ის მასშტაბები, რაც შეთანხმებულია, კონტრები გამოკვეთილია და ბაქოში მისი პირველი წინაბიც დაიკრა, ჩემი აზრით, არ უნდა დაიკარგოს. საქართველოს ამის უფლება არა აქვს.

ამიტომ, ერთგვარი წინააღმდეგობა წნდება. თუ ბორჯომის საკითხის გადაწყვეტა, რომელიც მოგვარებას მოითხოვს, ვადების გადაწყვეასთან არის დაკავშირებული, ეს ცოტა კონფლიქტურ სიტუაციას ბადებს. ამაზე ფიქრია საჭირო.

**გიორგი ჭანჭურია:** თუ ჩვენი ობიექტურები არ ვიქნებით და ვერ შევძლებთ ამ პროცესის საინფორმაციო მართვას, ყველა არასწორი ინტერპრეტირება გამოყენებული იქნება საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. ეს შემძლია ფულწრელად გითხრათ.

**მამუკა ხაზარაძე:** მე ნამდვილად არ მანადვლებს “ბიპის” ბიუჯეტის გაზრდა, თუ ის მოხმარდება საქართველოს უსაფრთხოებას. საქართველოს შეუძლებლ მოთხოვნის იმ ხარისხის დაზღვევა, როგორსაც ითხოვს, მაგალითად, საფრანგეთი მსგავსი პროექტების განხორციელებისას. გარემო საფრანგეთშიც და საქართველოშიც ერთი და იგივეა. ამაში კომპრომისი არ არსებობს.

**ნინო ჩხობაძე:** ჩვენი სამინისტრო საუბრობს მხოლოდ გარემოს დაცვით პრობლემაზე. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური სიტუაცია შეიძლება პროცესის დაღეს-ხვალ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იქნება დროებითი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის შეფასება, როდესაც ვინწყებდით ბაქო-სუფსის პროექტზე საუბარს - ყველაფერს ვგაპატივებნ, მაგრამ გარემოს დაბინძურებას არ გვაპატივებნო. დღესაც მის სიტყვებს ვაიმეორებდ. თვითონ ხელშეკრულება ტოვებს იმის საშუალებას, რომ თუ გარემოს დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პრეტენზიებს დავაყენებთ, პრობლემა გადაიჭრება.

ჩემთვის, როგორც გარემოს დაცვის მინისტრისთვის უდავოა, რომ ვერანაირ კომპრომისზე გარემოს დაცვის უწყება ვერ წავა. ერთადღრთი ლეგალიზი დოკუმენტი, რომელიც უნდა მიიღოს “ბიპიმ”, ეს არის გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული.

დისკუსია მოამზადეს გიორგი გახელაძემ და გიორგი კალანდაძემ





## პერსხლით და ბრინჯაოთი გამომდნარი მეორე ადგილი

გიბა ბარასაშვილი  
მხილილ აბიგვილი

ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა მსოფლიო ჩემპიონატებზე სამივე სინჯის მედლები მოიპოვეს. შარშან მსოფლიო ჩემპიონობით გაგვხარა მუხრან ვახტანგაძემ. წლევანდელ უმთავრეს ასპარეზობაზე კი ბადრი ხასიაძი და მანუჩარ კვირკველიამ მოსკოვის სარბიელზე ვერცხლი და ბრინჯაო გამოადნეს. სამწუხაროდ, ვახტანგაძე, რომლის იმედიც გვექონდა, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. თუმცა, არც ვერცხლი და ბრინჯაოა ურიკო. ესეც რომ არა, პირველად ამგვარი ასპარეზობების ისტორიაში, გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ და, როგორც მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ექვსეულში მოხვედრილმა გუნდმა, მომავალი წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლებაც მოვიპოვეთ.

ქართველი ფალავნები გუშინ ჩამოფრინდნენ მოსკოვიდან. მათ აეროპორტშივე გავესაუბრეთ. მოსკოვურ პერიპეტებზე კომენტარი ვიხივეთ საქართველოს მოჭიდავეთა გუნდის უფროს მწვრთნელს ბეგი დარჩიას: "ვერ ვიტყვი, რომ შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან უკეთესიც შეიძლება ყოფილიყო. თუმცა, პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. გუნდურ ასპარეზობაში ასეთ წარმატებას პირველად მივაღწიეთ. აქამდე ორჯერ კი ვიყავით პრიზიორთა შორის, ოღონდ ეს ევროპის ჩემპიონატებზე იყო.

ბაბრძელაბა B7 ბავრძეა



ბადრი ხასიაძი და მანუჩარ კვირკველია აეროპორტში.

იური ბაგვაძი, ფოტო

## რივაძე ტრაპაქონის, სკოლარის, ერიქსონისა და სანტინის კამპანიაში

მხილილ აბიგვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ვარშავაში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს მწვრთნელთა ყოველწლიურ ევროპულ კონფერენციაში. ეს ღონისძიება უეფა-ს ეგდით ეწყობა, ასე

რომ, მასში მონაწილეობა ერთობ პრესტიჟულია. წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი, ფრანგების ახალი თავკაცი ჟაკ სანტინი, იტალიის ეროვნული გუნდის დამრიგებელი ჯოვანი ტრაპაქონი, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერი.

ორგანიზატორებმა საპატიო სტუმრად მიიწვიეს ბრაზილიელთა ექს-დამრიგებელი ლუის-ფილიპე სკოლარი და უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების – სამხრეთ კორეისა და იაპონიის ეროვნული გუნდების ყოფილი მთავარი მწვრთნელები – პოლანდიელი გუს პიდიჩი და ფრანგი ფილიპ ტრუსიკი.

კონფერენციაზე მიწვეული იყო რუსეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი, მაგრამ იგი ვარშავაში არ ჩავიდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გაზაევი, რუსეთის ნაკრების გარდა, მოსკოვის "ცსკა"-ს მთავარი მწვრთნელიცაა. ეს უკანასკნელი კი გუშინ, ეროვნული ჩემპიონატის მორიგ მატჩში, "ტორედო-ზილს" ეთამაშებოდა.

## როგორ ასწავლა ჩერჩილმა თუთიყუშს გინება

მელორ სტარაა  
აგა მინაპოლინი

1982 წლამდე ინგლისში უხუცეს ფრინველად (ყვავს თუ არ ჩავთვლით) ითვლებოდა ლონდონის ზოოპარკის ბინადარი თუთიყუში-კაკადუ, სახელად - კოკი. იგი 80 წლის ასაკში აღესრულა. ეს რეკორდი სხვა თუთიყუშმა მოხსნა. მას ჩარლი ერქვა.

თუთიყუში ჩარლი, კოლევა კოკისგან განსხვავებით, მხოლოდ თავისი ხანდაზმულობით როდი იყო ცნობილი. 1937 წლიდან ის გამოჩენილ ინგლისელ საზოგადო მოღვაწესთან, უინსტონ ჩერჩილთან დაახლოებულ პირთა ვიწრო წრეში ტრიალებდა. როგორც ამბობენ, ჩერჩილი პოლიტიკურ ინტრიგებსა და სამხედრო გეგმებს სწორედ ჩარლისთან გასაუბრებისას აწყობდა. როცა ჩერჩილი, თავისი პრემიერმინისტრობისას, ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობდა და თანამოქალაქეებს "ჯარისკაცებივით ბრძოლისკენ" მოუწოდებდა, თავის თუთიყუშს მეზღვაურულ გინებას ასწავლიდა. ამ მხრივ ჩერჩილი კარგი დამრიგებელი იყო, რადგან მეზღვაურის ხანგრძლივი კარიერა უმაგრებდა ზურგს. მან განვლო გზა იუნგიდან ადმირალიტეტის პირველ ლორდამდე. ასე განსაჯეთ, აშშ-ის პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტისადმი გაგზავნილ წერილებს ის ხელს აწერდა არა როგორც პრემიერ-მინისტრი, არამედ როგორც "ბებერი მეზღვაური".

აი, რას გვიაძობს ლეონიდ სმოლი - იმ ბაღის უფროსი, რომელშიც ჩარლი თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ატარებს (მისი დაბადების თარიღად 1899 წელს ასახელებენ): "ასე მგონია, რომ ბინძური გინება ჩარლემ ჩერჩილთან ცხოვრებისას ისწავლა. ჩემი აზრით, ასევე იქ ისწავლა ჩერჩილის საყვარელი საქმიანობის - სიგარის ღეჭვის ხმის გამოცემა. ვერც იმას გამოვირიცხავთ, რომ ჩარლის მასწავლებელი, შესაძ-



ლოა, ჩიტების მალაზიის მფლობელი ყოფილიყო, თუმცა, სიგარის ღეჭვისა და მარილიანი, საზღვაო გინების იმიტაციისას ვრწმუნდებით, რომ ეს ჩერჩილი იყო". მისტერ სმოლს უფროსობისგან კატეგორიულად აკრძალული აქვს იმის გამჟღავნება, თუ, კონკრეტულად, რა სიტყვებს ხმარობს თუთიყუში ჩარლი. "თუმცა, ასაკის ფაქტბათან ერთად, ჩარლი სულ უფრო პირქუში და სიტყვაძუნეი გახდა. უგუნებობისგან, მკერდიდან ბევრი მოღურჯო-ვერცხლისფერი ბუმბული ამოიგლიჯა. გასაშხნევებლად მის გალიაში მუდმივად რადიოა ჩართული", - გვიაძობს მისტერ სმოლი.

გასაოცრად გულუბრყვილაა ეს ჩვენი მეტაღე სმოლი! ჩიტბნთ შეიძლება ერკვევა, მაგრამ პოლიტიკაში სრულ სიბეცეს ამჟღავნებს - ასე რომ არ იყოს, ის ყოველ ცისმარე არ გააყრუებდა საბრალო ჩარლის რადიოთი. ზუმრობა ხომ არ არის, დიდი ჩერჩილის თუთიყუშს თანამედროვე პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა გამოსვლები მოასმენინო, როცა მათ, ბრიტანეთის მართვა კი არა, ხეირიანი გინებაც არ შეუძლიათ?! ხოლო, ინგლისისა და ფუნტი სტერლინგის გავლენის შესუსტებაზე ახალი ამბების მოსმენა, რაღა თქმა უნდა, შავ მელანქოლიაში გადაგდებს ბებერ ჩარლის. ის ხომ საერთოდ აუტანელია, როცა შენს თვალწინ, დაუწინგ სირითის (სადაც ოდესღაც ორი დიდი "ჩ" - ჩერჩილი და ჩარლი ცხოვრობდნენ) ბრიტანელი, უკაცრავად პასუხია და, ჯენტლმენები - თუთიყუშებივით იმეორებენ თეთრი სახლიდან წამოსულ ყოველ სიტყვას?!

რაც შეეხება იმას, რომ ჩარლი სიტყვაძუნეი გახდა, მისტერ სმოლი ცდება. როცა ჩარლი მკერდიდან მეზღვაურის მაისურასავით ზოლიან მოღურჯო-ვერცხლისფერ ბუმბულს იგლეჯს, გულში იგინება და უხმოდ, მაგრამ აშკარად, იმქვეყნად ესიტყვება დიდ უინსტონ ჩერჩილს.

## დღეს კალაძის „დეპორტივო“ გამოცდის

ჩემპიონთა ლიგის 2002-03 წლის სეზონის პირველმა ტურმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მხოლოდ F ჯგუფში, რომელშიც "მანჩესტერ იუნაიტედი", "ბაიერი", "მაკაბი" და "ოლიმპიაკოსი" თამაშობენ, ორ შეხვედრაში 15 გოლი გავიდა. "რომამ", იმის მაგივრად, რომ შარშანდელი დამარცხებისთვის რევაშშზე ეფიქრა, მადრიდის "რეალთან" წააგო (0:3). "ბაიერნმა" საკუთარ მოედანზე დათმო შეხვედრა ესპანეთის "დეპორტივოსთან". დღევანდელი დღის ცენტრალური მატჩი სწორედ, ესპანეთში, "რიაზორის" მუნიციპალურ სტადიონზე გაიმართება. ირურეტას "დეპორტივო" ქართველ მცველს კალაძესა და "მილანს" უმასპინძლებს.

**G ჯგუფი**  
**"ლენსი" - "ბაიერნი"**  
**"დეპორტივო" - "მილანი"**  
დღეს "რიაზორზე" ანშლავი გარანტირებულია. "სუპერ-დეპორმა", როგორც მას ესპანეთში უწოდებენ, გერმანულ სუპერ-კლუბთან გამარჯვების შემდეგ ესპანეთისა და, ალბათ, ევროპის გულიც მოიგო. "მილანს," წესით, უნდა გაუჭირდეს. "დეპორტივოს" ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო თავდასხმის ხაზი აქვს. ირურეტას გუნდისთვის არავითარი მწიფელობა არა აქვს, თუ რომელი ფორვარდია მოედანზე. გოლის გატანა ყველას ეხერხება. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ "დეპორის" ფეხბურთელებს ეკუთვნით ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ორი სეზონის სამი ჰეთ-თრიკიდან ორი. შარშან ესპანელები საკუთარ მოედანზე 0:3-ს აგებდნენ "პარი სენ-ჟერმენთან" და... 4:3 მოიგეს. მეტოქის კარში სამი გოლი, თანაც, რამდენიმე წუთში, ვალტერ პანდინიმი გაიტანა. მიმდინარე გათამაშების პირ-

ველ ტურში ჰეთ-თრიკი შეასრულა "ოლიმპიაკოსის" ლიდერმა პრედრავ ჯორჯევიჩმა. მან და მაკკაიმაც ბუნდესლიგის უძლიერესი გუნდების - "ბაიერისა" და "ბაიერნის" კარში გაიტანეს სამი-სამი გოლი. რაც შეეხება "მილანს", ამ გუნდის დაცვა, ქართველი კალაძის მონაწილეობით, ერთი ყველაზე საიმედოა ევროპაში. კალაძე, მალდინი, ნესტა - ამით, ალბათ, ბევრი რამ არის ნათქვამი. სხვათა შორის, მალდინისთვის დღევანდელი შეხვედრა, შესაძლოა, საიუბილეო გამოდგეს. თუ ის მოედანზე გავა, ეს ლეგენდარული მცველის 50-ე მატჩი იქნება ჩემპიონთა ლიგაში. მილანელთათვის კი დღევანდელი მატჩი 52-ეა. მალდინიმ ერთი შეხვედრა გამოტოვა 1992 წელს, "გიოტებორგის" წინააღმდეგ, მეორე კი 1994 წელს, ნახევარფინალში, "მონაკოს" წინააღმდეგ. საგანგებო საუფრის თემაა რივალდოსა და "დეპორტივოს" ურთიერთობა. 1996 წელს თავისი ევროპული კარიერა ბრაზილიელმა სწორედ "დეპორტივოში" დაიწყო. ის "პალმეირასიდან" რიაზორზე მოხვდა, სადაც 41 შეხვედრაში 21 გოლი გაიტანა.

ამავე ჯგუფში საფრანგეთის "ლენსი" საკუთარ მოედანზე მოუწენის "ბაიერნს" მიიღებს. ჰიტფუდის გუნდს, ისევე როგორც ფრანგებს, დასაქარგი არაფერი აქვს.

**E ჯგუფი**  
**"ნიუკასლი" - "ფეინოროდი"**  
**"იუვენტუსი" - "დინამო"**  
ამ ჯგუფში ორივე შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. პირველი ტურის მთავარ მოულოდნელობად უკრაინაში "ნიუკასლის" დამარცხება აღიარეს. თუმცა, მეორე დღეს მთელმა ევროპამ აღიარა, რომ ლეგენდარულ

ბაბრძელაბა B7 ბავრძეა

## შუბაქმა გამარჯვება ღმერთის ნაბოძადად ჩათვალა

23 სექტემბერი. ქუთაისი. "ტორედო-ლოს" სტადიონი. 8 000 მაყურებელი.

ტორედო (ქუთაისი) -  
დინამო (თბილისი) 0 - 1 (0 - 0)

ტორედო: სტურუა, ჭელიძე, ქეშელაშვილი, დიდავა, ბაბუნაშვილი, გუჩუა, (მახვილაძე 46'), კეკელიძე (ჯანაშია 74'), ჩომახიძე, ასათიანი, ზირაქიშვილი, იონანიძე (პროშინი 69')

დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46'), კარლოსი, ვაშაძე, შამაშვილი, სახვაძე, (კვირკველია 82'), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე, გოგობერძეილი, მიქაძე (კანდელია 46')  
გოლი: 0-1 კარლოსი (78')  
დაფრთხილება: კანდელია  
მსაჯი: ლ. ფანიშვილი (თბილისი)

ბაბრძელაბა B7 ბავრძეა

## სისფარი ეკრანის ჩემპიონები



რეი რომანო - წლის საუკეთესო კომიკოსი.

კვირა საღამოს "ემის" დაჯილდოების 54-ე ცერემონიალი გაიმართა. სატელევიზიო "ოსკარები" ძველ, ამერიკელი მაყურებლისთვის უკვე კარგად ნაცნობ შოუებს არგუნეს. ტელე-შოუ The West Wing, როგორც საუკეთესო დრამატული სერიალი, წელს მესამე "ემის" მფლობელი გახდა. ზუთგზის მცდელობის შემდეგ,

დაჯილდოვდა ვეტერანი შოუ "მეგობრებიც", რომელმაც საუკეთესო კომედიური სერიალის სტატუსი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ "მეგობრები" ტელე-ეკრანიდან მალე მოიხსნება, "ენზისი" არხის ის უკანასკნელი, მეცხრე სეზონს ატარებს.

ბაბრძელაბა B2 ბავრძეა







**შეავესთი ანკეტი ღე გეგმეგვიგზავნეტი**

ბთხოვთ, შვავსოთ ბარკვეით.		გლზნი უფასო.	ანკატა ბამოგვიგზანეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:	
<div>სადაუნდალო მოგანია "რუსთავი 2" არ არის გალდებული, ბატონოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევას შემთხვევაში, ღებიავეთრდებით გადაცემის მომრ-ფონატორი ამ ანდბის შვავსებით თქვენ ეთხნენებით შოუს "ხალხის პირისპირ" ნდებსა ღბ პირიგზას.</div>			<div>სამეუნწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჭა-ფშაველას 45, 300077 თბილისი</div>	
კონკურსანტები ტელევიტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შერიგვიან ანკატის საფუქველზე, ამიტომ ბთხოვთ, ყურადღებით შვავსოთ ანკატა.				
სახელი ღბ გვარი			ოჯახური მღომარეობა:	
			ღაქორწინებული, ღაქორწინებული, გაყრილი, ქვრივი	
მისამართი:			შვილები: (თუ გავთ)	
საფოსტო ინღაქსი:			ბანათლება:	
			საქუალო, უმაღლესი, ტიქნიკური	
საქონტატო ტელეფონის ნომრები:			პროფსინა:	
ასაკი:			საშუაო აღბილი	
ღამგბარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომღლიც კარგად ბრკვეით, შვავსოთ პირიით ნა-ბისიბი. გაბალითაღ, სოხეგბდოთ კლბი "არკანალი" ან ებრობის ქვენდბის ღდბაქაქაქი, ან 60-ინი ღლზბის მუბსა, ღბ ა.შ.)			შინაღრი ცხოველები: (თუ გავთ)	
თქვენი ინტერესები ღბ ჴობი:			შეხვეღრისართ თუ არა, პირაღაღ, ცნოგილ აღამიანს? ვის, საღ ღბ როღის?	
ბიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ ვიმოგზაურით საბარბელოს ბარბთ ღბ საღ?)			არჩივანი რომ ბქონღბთ, რომელ ცნოგილ აღამიანთან ისურვებდით შეხვეღრას, საღ წახვიღოღით მასთან ბრთაღ ღბ რატომ?	
არჩივანი რომ ბქონღბთ, საღ წახვიღოღით სამოგზაუროღ ღბ რატომ?			რომ შიგბქლოთ მხოლოღ ბრბთი რამის შეცვლს საქუთარ ბარებნობას ან ხასიბთში, რას შეცვლიღით ღბ რატომ?	
ბაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?			რომ შიგბქლოთ მხოლოღ ბრბთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით ღბ რატომ?	
მიბიღწვიბთ ან გაბიკბთებბთ თუ არა ისბთი რამ, რბთაც აგაყობთ?			თქვენი აზრბთ, რომელ ჴღაზრულ პერსონაღს ჴბავხართ ყველზე ბეტაღ ღბ რატომ?	
ბაქვთ ან ბქონბთ თუ არა რაბი ბეტსახელი? კონკრეტულღ რა?			ფილბი რომ გაღაბლოთ თქვენზე, რომელი ცნოგილი მსახიობი შეასრულებღ თქვენს როლს?	
ბაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (გაბალითაღ, შიგბქლოთ თუ არა სტვენთ ბბბოცენის "ბბბარის სონბის" შერღლება, ან ასბინოღით ბარბთოღოთ ღონტახვიბის ბაღუ?)			ყველზე უხარხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:	
უჩვეულო ან სანტბარესო რამ თუ გაღბგღენბთ თავს? კბრქოღ რა?			ყველზე ცუდი საშუაო თქვენს ცხოვრებაში:	
			ღღღს რომ მოგცენ 2000 ლბრი, რას გააკბთებდით?	















## ფეხბურთი

# დღეს კალაძეს „დეპორტივო“ გამოცდის

**მ პირველი გვარდიანე**

ლობანოვსკის ღირსეული მეგვიდრე გამოუჩნდა. მიხაილენკომ მშვენიერად აულო ალლო ჩემპიონთა ლიგას და სწორი ტაქტიკით ინგლისელები დაამარცხა (2:0). თანაც, ახალგაზრდა უკრაინელმა თავად სერ ბოზი რობსონი დაჯაბნა. როტერდამში შეხვედრა ფრედ დასრულდა (1:1). თუ გაუითვალისწინებთ იმას, რომ “ფეიენოორდი” უეფა-ს თასის მფლობელია, შედეგი ლოგიკურია. დღეს “ნიუკასლი” საკუთარ მოედანზე პოლანდიელებს მასპინძლობს. რობსონის გუნდი მხოლოდ შეუტევს და შეეცდება, სამი ქულა მოიპოვოს. თუმცა, “ნიუკასლის” ფეხბურთელებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ: საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს წესების დარღვევა არ შეიძლება. ნინაალმდეგ შემთხვევაში, პიერ ვან ჰოიდონკი სამიდან ერთს მაინც გაიტანს. მიმდინარე სეზონში როტერდამელებმა 8 შეხვედრა ჩაატარეს. მათ 19 გოლი გაიტანეს, აქედან 4 ჰოიდონკის ანგარიშზეა. “ფეიენოორდმა” საკუთარ კარში მხოლოდ 5 გოლი მიიღო. “ნიუკასლ იუნაიტედი” ოთხჯერ შეხვდა პოლანდიის გუნდებს. აქედან ორჯერ - დღევანდელ მეტოქეს. 1968 წლის ბაზრობათა თასის გათამაშების პირველი შეხვედრა, ინგლისში, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა (4:0). პოლანდიაში კი “ფეიენოორდმა” გაიმარჯვა (2:0).

**ფ ჯგუფი**  
**“ბაიერი” - “მანჩესტერი”**  
**“მაკაბი” - “ოლიმპიკოსი”**  
 უფრო დიდ ინტერესს იწვევს გერმანიაში გასამართი შეხვედრა. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ჩემპიონთა ლიგის წინა სეზონის ფინალის-



რონი მაკაბი

ტი, ლევერკუზენის “ბაიერი”, მიუნხენის “ბაიერნის” მსხვერპლი გახდა. პირველ ტურში ლევერკუზენელთა დაცვა ცუდად გამოიყურებოდა. “ოლიმპიკოსმა” ექვსი გოლი გაუტანა გუნდს, რომლის კარის აღება შარშან ყველასთვის დიდი პრობლემა იყო. თუმცა, არც გერმანელთა დღევანდელი მეტოქე “მანჩესტერ იუნაიტედი” ბრწყინავს. გუნდს პრემიერლიგაში გოლების



კახი კალაძე

გატანა უჭირს. ინგლისში გამარ-თულ 7 შეხვედრაში ფერგიუსონის გუნდი ორჯერ დამარცხდა, სამი შეხვედრა კი მხოლოდ 1:0 მოიგო. ამას დაემატა ორი ფრე. შარშან ეს ორი გუნდი ორჯერ შეხვდა ერთმანეთს. ორივე მატჩი ფრედ (1:1 და 2:2) დასრულდა. თუმცა, საბოლოოდ ფინალში გერმანელები გავიდნენ. ფერგიუსონის აზრით, არაფითარ შურისძიებაზე საუბარი არ შე-

იძლება. “ეს არის ჩვეულებრივი, რიგითი შეხვედრა. შარშან გერმანელებმა გვაჯობეს და ფინალშიც გავიდნენ. წლეულს კი ჩვენ შევეცდებით, იგივე გავაკეთოთ.”

**ფ ჯგუფი**  
**“ბრიუგე” - “ლოკომოტივი”**  
**“გალათასარაი” - “პარსელონა”**  
 “ბრიუგესა” და “ლოკომოტივის” მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, დღეს მათი თამაში მხოლოდ რუსეთსა და ბელგიაში აინტერესებთ. გაცილებით საინტერესოა “გალათასარაისა” და “პარსელონას” დუელი, რომელიც თურქეთში შედგება. ამ ორი გუნდის დაპირისპირება 1994 წლიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ “პარსელონა” და “გალათასარაი” ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამი მატჩი ესპანელებმა მოიგეს, ორი შეხვედრა ფრედ დასრულდა, ერთი მატჩი კი დღევანდელი მასპინძლის სასარგებლოდ დამთავრდა. თურქები, რომელთაც დაუბრუნდათ მწვრთნელი ფატიჰ თერიმი, აღმავლობის გზაზე დგანან. მათ მოსკოვში 2:0 მოუგეს “ლოკომოტივს” და დღეს, ალი სემი იენის სტადიონის ტრიბუნებზე მისულ ფანებთან ერთად, შეუტევენ კატალონიის გუნდს. პირველი ტურის მატჩი “პარსელონამაც” მოიგო. თუმცა, ამ გუნდის გამარჯვება არცთუ შთაბეჭდავი გამოდგა. ბელგიის “ბრიუგემ” ორი გოლი გაიტანა. თურქები სწორედ მეტოქის დაცვის სისუსტის გამოყენებას შეეცდებიან.

დღეს სამოუწყებლო კომპანია “რუსთავი-2” 23 საათსა და 45 წუთზე გადავრბთ პირდაპირ რეპორტაჟს ესპანეთიდან, სადაც “დეპორტივო” “მილანს” მასპინძლობს.

# ფრაიბურგი ბუნდესლიგის კურსზეა

ცქიტიშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელია

**აკა ტონია**  
 ისეთი პირი უჩანს, რომ ევროპის ყველაზე “ქართული გუნდი” “ფრაიბურგი” მეორე ბუნდესლიგაში დიდი ხნით დარჩენას არ აპირებს და შემდეგი სეზონიდან კვლავ დაბრუნდება გერმანული ფეხბურთის 18-გუნდიან ელიტაში. კეირას, 22 სექტემბერს, ფრაიბურგელებმა ბერლინის “უნიონს” უმასპინძლეს და გაიმარჯვეს - 4:0. მატჩის მე-10 წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიში გახსნა “ფრაიბურგის” “შტატინამა” პენალტისტმა ლევან კობიაშვილმა. ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ითამაშა ალექსანდრე იაშვილმაც, რომელმაც 55-ე წუთზე რამდანეს საგოლე პასი მისცა. დანარჩენი ორი გოლი გაიტანეს ანდრეას ზაიერმა (80’) და შტეფან მიულერმა (82’). ამ გამარჯვებით “ფრაიბურგი” მეორე ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში მოექცა და, საგარაუდოა, რომ მომავალი სეზონიდან კლუბი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდება.



“ფრაიბურგს” ერთი ქულით ჩამორჩება არჩილ არველიაძის “კიოლნი”. 68-ე წუთზე იაშვილი იბრაჰიმ ტანკომ შეცვალა. “უნიონთან” შეხვედრის

საუკეთესო მოთამაშედ გერმანულმა ჟურნალმა “Kicker”-მა დაასახელა ლევან ცქიტიშვილი, რომელმაც ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე

ლიგა	მეორე ბუნდესლიგა	თ.	ქ.
1.	ფრაიბურგი	6	15
2.	კიოლნი	6	14
3.	ანტრახტი (ტრიერი)	6	12
4.	მიონი	6	12
5.	ოტერნაუზენი	6	10
6.	უნიონი (ბერლინი)	6	10
7.	ლიბეკი	6	9
8.	ანტრახტი (ფრანკფურტი)	5	9
9.	ბურგაზუზენი	6	9
10.	აალენი	6	8
11.	გროიტერ ფირტი	6	8
12.	აღუმანია	6	7
13.	დუისბურგი	6	6
14.	როტლინგენი	6	3
15.	მანჰაიმი	6	3
16.	ზანკტ პაული	6	3
17.	ანტრახტი (ბრაუნშვაიგი)	6	3
18.	კარლსრუე	5	2

მაღალი შეფასება - 1,5 ქულა დიმსახურა, ლევან კობიაშვილმა კი - 2 ქულა. ალექსანდრე იაშვილის თამაში “Kicker”-მა 2,5 ქულით შეაფასა.

# შუბაქმა გამარჯვება ღმერთის ნახოძეადა რათვალა

**მ პირველი გვარდიანე**  
**თამარ ფირცხალავა**  
*ათასილიანე*

არსებობს ფეხბურთში დაუნერეღი კანონი: ვერ გაიტან - შენ გაგიტანენ. ასე დაემართათ ამ დღეს ქუთაისელებს. იონანიძეს, ზირაქიშვილს, ასათიანს და ახალწვეულ ჩომახიძეს გოლის გატანის იმდენი შანსი ჰქონდათ, რომ “ტორპედოს” წარუმატებლობას ალბათ ვერაფერ იწინასწარმეტყველებდა. ჯერ ზოიძემ, მატჩის მეორე ტაიმი კი გვარამაძემ საკუთარი კარი მშრალად შეინახეს, თბილისელთა ბრანილიელმა ლეგიონერმა კარლოს და როზამ კი “ღინა-მოელთა” ერთადერთი საგოლე მომენტი გამოიყენა და ჩესურ “ლიბერეტთან” განმეორებითი მატჩისთ-

ვის საკუთარ თანაგუნდელებს, სატურნირო ცხრილის სათავეში ყოფნით, მშვენიერი ფსიქოლოგიური ფორა შეუქმნა. **იგო შუშუაქი (“ღინაშოს” მწვრთნელი):** პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ამ მატჩზე ბიჭები ძალზე დაღლილები გამოვიდნენ, ვინაიდან სამი დღე ჩესებში ვიმყოფებოდით. ასეთი საპასუხისმგებლო მატჩისთვის ბიჭები სერიოზულად ვერ განეწყვნენ, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ჯერ ზოიძემ, შემდეგ კი გვარამაძემ მშვენიერად ითამაშეს და მრავალჯერ გვიხსნეს, კარლოსმა კი თავისი გოლით გამარჯვება მოგვიტანა. მეტოქის თამაში მომეწონა.

ქუთაისელებმა ლამაზი, შემტევი ფეხბურთი შემოგვთავაზეს. ზოიძე დღეს მაღალი სიცხით თამაშობდა, სწორედ ამიტომ შეეცალე. მოხარული ვარ, რომ ცვლილებამ გაამართლა.

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონზომიერი იყო დღევანდელი მატჩის შედეგი, შემდეგს მოგახსენებთ: ქუთაისში სათამაშოდ “ღინაშო” უკვე მესამედ ჩამოვიყვანე. ერთხელ ფრედ ვითამაშეთ, ერთხელ დავმარცხდი, მესამედ კი ღმერთმა გადმოგვხდა და გამარჯვებაც მოვიპოვეთ.

**ალექსანდრე შტელინი (“ტორპედოს” მწვრთნელი):** ბიჭებს წაგებაში ნამდვილად ვერ დავადაშაშულებმ, მათ ყველაფერი გაიღეს წარმატებისათვის. ვიცოდით, რომ მეტოქე ფრთხილი ტაქტიკით ითამაშებდა, ისევე, როგორც ეს მათ ჩესების წინააღმდეგ განმეორებით მატჩში მოუწევთ. ჩვენმა გუნდმა სივრცეები შეუზღუდა და მრავალი საბიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ არ გავკიმართლა. თუმცა, აქ საკანგაპო არაფერია. მთავარია, ეს შეგება სწრაფად დავივიწყეთ და მომავალი

თამაშებისთვის უფრო უკეთესად მოვემზადეთ. ერთი მარცხისაგან ტრაგედიას ნუ შევქმნით, მით უმეტეს ხედავთ, რომ თამაშიდან თამაშამდე გუნდი უმატებს და სასურველ ფორმასაც მალე მიაღწევს.

გუჩუას შეცვლა მისი ტრავმის გამო მოხდა. მას ამ მატჩში საერთოდ არ უნდა ეთამაშა, მაგრამ მისი გაუკაცური ხასიათიდან გამომდინარე, მოედანზე მაინც გამოვიდა და რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა. არ გაამართლა ჯანაშიამ, ჩვენ მისი გაციოდლების იმედი გვქონდა, მაგრამ სუსტად ითამაშა. მსაჯობაზე საუბარი საერთოდ არ მიყვარს, მაგრამ რატომღაც მომეჩვენა, რომ არბიტრმა დამატებით დროში სულ მცირე ორი წუთი “მოგვპარა”.

ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივარს დიდი მხარდაჭერისთვის.

ინგლისის ჩემპიონატი		
მეხვიდა ტური		
23 სექტემბერი		
ფაქტები	0 - 0	რეზი

ბალზიის ჩაპიონატი		
მამქმეა ტური		
23 სექტემბერი		
ანდარტხები	6 - 3	მასქრონი

## ბათუმეა ხტომა

## ბათუმისთა შვიცარიული წარმატება



ლუბა გოლოვინა და სოფო გულიაშვილი

**ბიბა ბარასაშვილი**  
 1928 და 1948 წლების ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელმა სენტ მორიცმა (შვეიცარია) 19-20 სექტემბერს ბატუმისტთა საერთაშორისო ტურნირს “ნისანის” თასს უმასპინძლა. ასპარეზობებზე უმცროს და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა. ევროპის 12 ქვეყნის წარგზავნილთა შორის იყვნენ უმცროსი ასაკის ქართველი ბატუმისტიც. თენგიზ კოშკაძემ, ლუბა გოლოვინამ და სოფო გულიაშვილმა ინდივიდუალურ ზტომებში ისასპრეზეს. 14 წლის კოშკაძე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 12წლის გოლოვინამ - მეორე. წარმატებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა მსოფლიო ჩემპიონატის ვერ-

ცხლის მედალოსანს, 16 წლის სოფო გულიაშვილს. ტურნირზე მიღებული ტრავმა რომ არა, ალბათ, საპრიზო ადგილს დაიკავებდა. საბოლოოდ ის მეოთხე ადგილს დასჯერდა.

უფროსი ასაკის ბატუმისტთა შორის სინქრონულ ზტომებში გოლოვინა-სა და გულიაშვილის ტანდემი მეოთხე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ გუნდს, უსახსრობის გამო, თან არ ახლდა ნაკრების მწვრთნელი. საკუთარი მოვალეობის გვერდზე გადადებდა და ბავშვების ზედამხედველობა მოუწია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯეს ვალერი ჩხაბურიძეს. არადა, შვეიცარიაში გუნდი მწვრთნელთან ერთად რომ გამგაზრებულიყო, მაშინ ჩვენს მსაჯეს ანგარიშს გაუნდებდნენ და მედლებიც უკეთესი გვექნებოდა.

## ქიდაოება

## ვერცხლით და ბრინჯაოთი გამომდნარი მეორე ადგილი

**მ პირველი გვარდიანე**  
**- თუ ელოდით, რომ ფინალში გახვიდოდით?**  
 - ვერ ვიტყვი, მედალზე არ ფიქტრობდი-მეთქი. ამისთვის კარგად მოვემზადე. როდესაც ფინალში გავექდი, მხოლოდ გამარჯვება მინდოდა. მომავლისთვის ტაქტიკურად და ფიზიკურად უკეთ უნდა მომეშადლო. ერთი სიტყვით, საკუთარ თავზე მეტი უნდა ვიშეშაო.  
 მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტი წარმატებული იყო მანუჩარ კვირკველიასთვისაც. წლევიანდელ ევროპის პირეველობაზე ვიცე-ჩემპიონობას კვირკველიამ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოდ დაუმტატა. მას ერთი ნაბიჯი დააკლდა, რომ ფინალშიც ექციადა. შეიძლებოდა, ოქროს მედალიც ამეღო, მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო, არ გამომივიდა. ალბათ, ამისთვის სათანადოდ ვერ განვეწყვე.  
**- ფინალში გასასულიყო ორთაბრძოლა ზებრაიჯანელმა ფარედ მანსუროვმა წაგაგვინათ. ძლიერი მეტოქე იყო?**  
 - მასთან მოგება ძნელი არ იყო, მაგრამ... უფრო უმართლებდა. შეიძლება ითქვას, მას მეტოქეებმა ხონჩით მიაერთვეს ფინალი. რატომღაც ყველა შეხვედრაში უმართლებდა. არადა, არ არის ისეთი ძლიერი ფალავანი. თუმცა, ამ ეტაპზე, არც მესამე ადგილია ჩემთვის ურიგო.  
 “ბიჭებმა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინეს. მიხარია, რომ მათ ქართველ გულშემატკივარს სისარული აჩუქეს”,- კმაყოფილი ჩანდა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზდენტი გიჟა ძასხოვიცი, რომელიც თან ახლდა გუნდს მოსკოვში.  
**- ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს აიღებდა, მოსკოვის მერიაში გაიმართა ჭიდაობის საქრთაშორისო ფედერაციის (ფილა) საარჩევნო-საანგარიშო კონგრესი, რომელზეც ფედერაციის ახალი პრეზდენტი არჩიეს. მას თუ შეხვდით?**  
 - ფილა-ს ახლად არჩეულ პრეზიდენტთან, შვეიცარიელ რაფაელ მარტინეტთან აქამდეც მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ახლა ჩვენი კონტაქტი უფრო გაღრმავდება. ამასთან, საქართველოს დელეგაცია იყო პირველი, ვინც ფილა-ს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე მიულოცა გამარჯვება.

## მოქალე

**ველოსპორტი.** სანტანდერი – ხიხონის 190,2-კილომეტრიანი ტრასა სერგეი სმეტანიშისთვის იღბლიანი აღმოჩნდა და მან “ვეუელტას” მე-14 ეტაპი მოიგო. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა მეტოქეებს, თითქმის, ორი წუთით გაუსწრო. სმეტანიშის დრო – 4 საათი, 17 წუთი და 23 წამია. მეორე ადგილზე ესპანელი ოსკარ ლაგუნა გავიდა – +1,57, ხოლო მესამე იტალიელი ანჟელო ფურლანი იყო – +2,39. საერთო ჩათვლაში პირველობას კვლავ ინარჩუნებს ესპანელი ოსკარ სევილია, რომელიც თანამემამულე აიტორ გონსალესს ერთ წამს უგებს. ასევე მესამე ადგილზეა ესპანელი რობერტო ერასი.

## პრიმი.

შეხვედრა ვლადიმირ კლიჟკოსა და, WBO-ის პერტიტ, მსოფლიო ჩემპიონობის ვერდიდენტ ჯამილ მიკლაიშს შორის უახლოეს პერიოდში არ გაიმართება. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კვლავ უკრაინელ მოკრივეს ეტარება. ამის მიზეზია მიკლაიშის პროტესტი იმ მიერე პონორარის გამო, რომელიც მას ტელეტრანსლაციისთვის შესთავაზეს. “მე არ გადამიხადეს ის თანხა, რაც ამ ორთაბრძოლისთვის მეკუთვნოდა. შემომთავაზეს 1.1 მილიონი დოლარი, მე კი უფრო მეტს ველოდი. ასეთ პირობებში ორთაბრძოლის გამართვას არ ვაპირებ, - ამბობს მიკლაიშეებს. ასევე მესამე ადგილზეა ესპანელი რობერტო ერასი.



